ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 4
05/02/2016

4-08-4-201602051712

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, ამავე კანონის 85^2 მუხლის, 85^5-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

ამ დადგენილებით რეგულირდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის (შემდგომ - მუნიციპალიტეტი) დასახლებების საერთო კრებების ტიპური დებულება და მუნიციპალიტეტის იმ დასახლებების ჩამონათვალი, რომლებშიც კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად შექმნილია დასახლების საერთო კრება.

მუხლი 2.

1. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულება, (დანართი #1).

მუხლი 3.

1. გამგებელმა ამ დადგენილების ამოქმედებიდან 30 დღის ვადაში

ა) უზრუნველყოს დასახლებების საერთო კრებების ასახვა შემდეგი ინფორმაციის გამოყენებით:

ა.ა)მუნიციპალიტეტის დასახლებების ჩამონათვალი, რომელებშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ს არ აღემატება;

ა.ბ) მუნიციპალიტეტის დასახლებების ჩამონათვალი, რომლებშიც რეგისტრირებულ

ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ს აღემატება და 2000-ზე ნაკლებია.

ა.გ) თითოეულ დასახლებაში რეგისტირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა.

ბ. რჩეულის კანდიდატთა ბიულეტენების ფორმის, ამომრჩეველთა სიის ფორმის დამტკიცება.

გ. გამგეობის დებულებაში ცვლილებების პროექტის მომზადება, სადაც განისაზღვრება სტრუქტურული ერთეული, რომელსაც ექნება საერთო კრებებთან დაკავშირებული უფლებამოსილება და მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენა.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა